დავით მერკვილაძე
ისტორიის დოქტორი, დამოუკიდებელი მკვლევარი

ერეკლე ხუციშვილი

პეტრე ბუტკოვი ყირიმში რუსეთის გავლენის გაძლიერების შესახებ 1775-1778 წლებში

წარმოგიდგენთ პეტრე ბუტკოვის ნაშრომის (*მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის 1722-1803 წლებში*, ტ. II, ს-პეტ., 1869) იმ მონაკვეთის ქართულ თარგმანს, სადაც საუბარია რუსეთის ძალისხმევაზე ყირიმში და მის მიმდებარედ რუსეთის გავლენის გასაძლიერებად. პ. ბუტკოვი, როგორც რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცერი და რუსული იმპერიული გაფართოების გულშემატკივარი, ცდილობს ერთგვარი გამართლება მოუძებნოს რუსეთის საიმპერატორო კარის გადაწყვეტილებას, ნებისმიერ ფასად განიმტკიცოს თავისი გავლენა ყირიმის სახანოსა და ყუბანისპირეთში. რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ 1774 წელს გაფორმებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, ყირიმის სახანო ორივე მხარის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქნა აღიარებული, რაც მის ოსმალური გავლენისაგან განთავისუფლებას ნიშნავდა. თუმცა რუსეთის ხელისუფლება მაშინვე იწყებს ყირიმზე საკუთარი გავლენის გამყარებას და ხანის თანამდებობაზეც სასურველ კანდიდატურას აყენებს. ყირიმში ხვდებოდნენ, რომ ეს „დამოუკიდებლობა“ სინამდვილეში ერთი ბატონის მეორე, მათთვის ბევრად უფრო სახიფათო და მიუღებელი ბატონის ჩანაცვლებას წარმოადგენდა.

მალევე სახანოში აჯანყებამ იფეთქა და რუსული ორიენტაციის ხანი დაამხეს. ბუნებრივია, აჯანყებას გულშემატკივრობდა და მხარს უჭერდა სულთნის ხელისუფლებაც, თუმცა პუტკოვი ამას

აფასებს „პორტას ვერაგულ პოლიტიკად“, რომელიც „თათრების დამონებისა და ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსული გავლენის მოსპობისკენ“ იყო მიმართული. ავტორის ტენდენციურობა კიდევ უფრო ნათლად ჩანს მისეულ შეფასებებში, რომლის მიხედვით, ოსმალური გავლენა „თათრების დამონებას“ მოასნავებდა, რუსული გავლენა კი „იმპერატრიცას მიერ მათთვის ბოძებულ კეთილდღეობას“, რომელიც ყირიმელმა თათრება ვერ შეიფერეს, რადგან „არ შესწევდათ უნარი, ეგემათ თავისუფლების ნაყოფი.“

რუსეთმაც, თავის მხრივ, არაფერი დაიშურა, რათა „დახმარებოდა“ ყირიმელებს, რომ რუსული ხიშტის ძალით მათთვის გაუგებარი „რუსული თავისუფლება“ მიეტანა.

ყირიმის მიმართ რუსეთის ხელისუფლების გეგმები ზემოხსენებულ ზავამდე ორი წლით გაცხადდა, როცა მან „დამოუკიდებლად“ გამოაცხადა და „მფარველობაში“ აიყვანა ეს სახანო. ე. წ. მფარველობა კი, რუსეთის იმპერიულ პრაქტიკაში მფარველობაგასაწევი ობიექტის მიზანში ამოღებას ნიშნავდა მისი საბოლოო ანექსიისათვის.

მართლაც, რუსეთმა საკუთარი უფლებები ყირიმზე 1779 წელს აინალი-კავაკის ხელშეკრულებით განიმტკიცა, როცა ოსმალეთი იძულებული გახდა ეღიარებინა ქუჩუკ-კაინარჯში ხელმოწერილი სამშვიდობო ზავის ფაქტობრივი დარღვევით რუსეთის სასარგებლოდ შექმნილი ახალი ვითარება ყირიმის საკითხში. გავა კიდევ ოთხი წელიწადი და ყირიმის ანექსიაც განხორციელდება (ამის თაობაზე ბუტკოვის მასალებს შემდეგ ნომერში წარმოვადგენთ). სწორედ ამ წელს რუსეთის ძალისხმევამ შედეგი სამხრეთი კავკასიაშიც გამოიღო და „ქართლ-კახეთის სამეფოსაც დაედო მძლავრი „მფარველის“ იმპერიული ტორი, რაც სამეფოს ანექსიას, მისი პოლიტიკური ორიენტაციის ძირეული ცვლილების გარეშე, მხოლოდ დროის საკითხად აქცევდა.

ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია დავით მერკვილაძისა და ერეკლე ხუციშვილის მიერ. იგი წარმოადგენს პ. ბუტოვის დასახელებული ნაშრომის 77-79-ე თავებს. ტექსტს დართული განმარტებების ერთი ნაწილი აღნიშვით „(გამომც.)“ პ. ბუტკოვის

ნაშრომის პირველი გამომცემლებისაა, მეორე ნაწილი, აღნიშვნით „(მთარგმნ.)“ შესრულებულია ჩვენს მიერ. მთარგმნელების მიერაა დასათაურებული ნაშრომის თავებიც მათი შინაარსის შესაბამისად.

თავი 77

დევლეთ-გირეის მიერ ყირიმის ხანის ტიტულის მიტაცება, მღელვარება ყაბარდოში

მიუხედავად იმისა, რომ კაინარჯის ტრაქტატის თანახმად, სულთნის მიერ ზავის რატიფიკაციის გამოქვეყნებით, პორტამ სცნო ყირიმის დამოუკიდებლობა რომელიმე სხვა სახელმწიფოსგან, პორტას ვერაგული პოლიტიკის სულისკვეთება მალევე წარიმართა თათრების დამონებისა და ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსული გავლენის მოსპობისკენ.

უცხო ჩაგონებებს აყოლილმა თათრებმა მყისვე იმპერატრიცას მიერ მათთვის ბოძებული საკუთარი კეთილდღეობის საწინააღმდეგოდ იწყეს მოქმედება. მათ არ შესწევდათ უნარი, ეგემათ თავისუფლების ნაყოფი.

პორტას ხრიკებით, 1775 წლის მინურულს[1] ან 1776 წლის და-

1 თავადი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე პროზოროვსკი 1808 წლის 14 ნოემბერს გრაფ ალექსი ანდრეის ძე არაკჩეევს სწერდა, რომ მას, როგორც ყირიმში რუსული ჯარების მაშინდელ მეთაურს, უმაღლესიდან ებრძანა, რომ ხანი საჰიბ-გირეი, რომელიც ჩვენდამი ერთგული არ იყო, პოლიტიკური საშუალებებით ჩამოეცილებინა, მის ადგილზე კი მისი ძმა, კალგა შაჰინ-გირეი აეყვანა (კალგა იყო ხანის შემდეგ პირველი პირის ტიტული ყირიმის სახანოში. ტახტზე ასული ყოველი ხანი ამ ტიტულს ანიჭებდა მმართველი დინასტიის ერთ-ერთ წევრს. კალგას გააჩნდა საკუთარი რეზიდენციაც. შაჰინ-გირეის, დევლეთ-გირეის შვილიშვილს, კალგის თანამდებობა ეკავა 1771-1775 წლებში – მთარგმნ.). ამგვარად, ეტყობა, რუსებმა დევლეთ-გირეი თვითონვე მიუშვეს საჰიბ-გირეის შესავიწროვებლად. ამასთან, თუმცა ყირიმში იყო ხანიც და დივანიც, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით თავად პროზოროვსკის თანხმობის გარეშე ვერავითარი მნიშვნელოვანი საქმე ვერ შესულდებოდა (გამომც.).

საწყისში ყირიმიდან გააძევეს ხანი საჰიბ-გირეი;[2] პორტას დახმარებითვე მისი ტიტული მიიტაცა მუდამ თურქეთის მომხრე დევლეთ-გირეიმ.[3] თათრების ნაწილი მას ბრმად მიეტმასნა, მეორე ნაწილს წინააღმდეგობის გაწევა არ ძალუძდა. დევლეთ-გირეიმ ყირიმი პორტასადმი უწინდელ დაქვემდებარებაში დააბრუნა და საერთოდ თავს არიდებდა 1772 წელს დადებულ შეთანხმებას.[4] თურქულმა გარნიზონებმა ყირიმის ყველა ციხე-სიმაგრე დაიჭირეს. ამ წინასწარი განზრახვით პორტა თავს არიდებდა თურქული ჯარებისგან ტამანის დაცლას. თურქები თათრებს განუწყვეტლივ ჩააგონებდნენ, რომ ისინი პორტას ბრძანებებზე არიან დამოკიდებულნი.

ამგვარადვე ყაბარდოელებმა, სარწმუნოებისა და ცხოვრების წესის ერთიანობის გამო თურქეთის, ნაკლები ზომით კი – ყირიმის მხარისადმი კეთილგანწყობით გამსჭვალულებმა, მოისურვეს, რომ ყირიმს აშკარად შესწეოდნენ, მერყეობა დაიწყეს და უკვე საყოველთაო აჯანყებით იმუქრებოდნენ.

ამასობაში, 1776 წლის სექტემბერში, ყირიმის ხანმა დევლეთ-გირეიმ ორივე ყაბარდოში[5] და გენერალ-პორუჩიკ მედემთან შიკრი-

---

2. 1771 წელს ყირიმში რუსეთის ჯარების შეჭრის შემდეგ, როცა იმჟამინდელი ხანი სელიმ III გირეი სტამბულში გაიხიზნა, რუსების ზეწოლით საჰიბ II გირეი ყირიმის ხანად აირჩიეს. 1775 წელს ხანის ტახტიდან მისი ჩამოგდების შემდეგ მანაც ოსმალეთს შეაფარა თავი (მთარგმნ.).

3. დევლეთ IV გირეი ყირიმის ხანის ტიტულს პირველად 1769-1770 წლებში ფლობდა. 1775 წელს ყირიმის რუსული ჯარისაგან გასათავისუფლებლად დევლეთ-გირეიმ სახანოდან განდევნა რუსეთის იმპერიისაგან მხარდაჭერილი საჰიბ-გირეი და თვითონ გამოცხადდა ხანად. მაგრამ ოსმალეთის სულთანმა ვერ გაბედა კაინარჯის ზავის დარღვევა და ხანის ქმედითი მხარდაჭერა და დევლეთ-გირეიმაც ხელისუფლება მხოლოდ 1777 წლამდე შეინარჩუნა. 1777 წელს რუსების დახმარებით ხანი გახდა შაჰინ-გირეი (მთარგმნ.).

4. 1772 წლის 1 ნოემბერს ყირიმის ქალაქ ყარასუბაზარში (თანამ. ბელოგორსკი) ხელი მოეწერა ხელშეკრულებას რუსეთსა და ყირიმის სახანოს შორის, რის თანახმადაც ყირიმი გამოცხადდა ოსმალეთისაგან დამოუკიდებელ სახანოდ რუსეთის მფარველობით. ამავე დროს რუსეთის ხელში გადავიდა სახანოს კუთვნილი შავი ზღვისპირა ნავსადგურები: ქერჩი, კინბურგი და ენიკალე. 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ეს პირობები ცნო ოსმალეთის ხელისუფლებამაც (მთარგმნ.).

5. იგულისხმება დიდი ყაბარდო და მცირე ყაბარდო (მთარგმნ.).

კად თავისი დეფტერდარი,[6] კასპოლატ-აღა გამოგზავნა განცხადებით, რომ ყაბარდოელები ყირიმს ეკუთვნიან თითქოს პორტასთან დადებული ბოლო სამშვიდობო ტრაქტატის შინაარსით, რითაც ის 1772 წლის ტრაქტატს აუქმებდა და [შესაბამისად, ხანი] მედემისაგან ითხოვდა ყაბარდოელი ამანათების გათავისუფლებას. მაგრამ მედემმა დიდი ყაბარდოდან მასთან ჩასულ ამ შიკრიკს ზოგადად უთხრა, რომ ყაბარდოელები რუსეთის ქვეშევრდომებად ითვლებიან, ხოლო მათი ამანათების გაშვება მას საგანგებო უმაღლესი განკარგულების გარეშე არ შეუძლია. ამ საკითხზე გადანყვეტილების დასალოდებლად, რათა შიკრიკს ყაბარდოელებთან შემდგომი ყოფნით მეტი არევ-დარევა არ გამოეწვია, მან იგი გაგზავნა აზოვის მხარეს, გენერალ-პორუჩიკ თავად ალექსანდრე ალექსანდრეს ძე პროზოროვსკისთან, რომელიც თავად დოლგორუკ-კრიმსკის[7] მოსკოვში გამგზავრების შემდეგ მის ადგილას ჯარის სამეთაურად იყო დარჩენილი.

ყაბარდოელები შეჭოჭმანდნენ და ზოგადად ყირიმისაკენ მეტ კეთილგანწყობას იჩენდნენ, ვიდრე რუსეთის მიმართ, თუმცა ამავე დროს სურდათ, დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ.

იმპერატრიცამ ბრძანა, მედემის სახელით შეედგინათ განცხადება ყველა ყაბარდოელი მფლობელისადმი, ყირიმის ხანის მიერ მათი წაქეზებების სამხილებლად. 1776 წლის 29 ოქტომბერს მან მედემს უმაღლესად მიუთითა, რომ ამ განცხადებისთვის ხელი მოეწერა და მაშინვე მრავალ ცალად გაეგზავნა ყაბარდოს ზედამხედველისათვის ყაბარდოელი მფლობელებისათვის წარსადგენად და ხალხში გასავრცელებლად. ეს ვრცელი დეკლარაცია უმთავრესად შეიცავდა შემდეგს: ყაბარდოელები თვით ძველთაგანვე, ყოველ

6. ხაზინადარი (მთარგმნ.).

7. ვასილი მიხეილის ძე დოლგორუკოვი (1722-1782), გენერალ-ანშეფი 1762 წლიდან. 1771 წელს ეკატერინე II-ის დავალებით დოლგორუკოვი რუსული ჯარით შეიჭრა ყირიმში, დაამარცხა ხანის ჯარი და დაიკავა ნახევარკუნძული. განდევნილი ხანის, სელიმ-გირეის ნაცვლად კი ხანად დასვა რუსული ორიენტაციის საჰიბ II გირეი. ამ დამსახურებათა გამო იგი დაჯილდოვდა წმ. გიორგის 1-ლი ხარისხის ორდენით, ყირიმში მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად კი ეწოდა ტიტული „კრიმსკი" (მთარგმნ.).

შემთხვევაში, ივანე ვასილის ძის მეფობის[8] დროიდან, საკუთარ თავს ყოველგვარი ეჭვის გარეშე თვითონვე მიიჩნევდნენ რუსეთის ტახტის ქვეშევრდომებად; ასევე ძველთგანვეა შემოღებული რუსეთის მხარეში მათგან ამანათების ყოლის ჩვეულება. თუმცა ბელგრადის 1739 წლის სამშვიდობო ტრაქტატით, რუსეთის კარი ყაბარდოელთა თავისუფალ ხალხად ცნობას დათანხმდა, მაგრამ მაშინაც დაიტოვა ყაბარდოელი ამანათების თავისთან ყოლის ძველი ჩვეულება. ბოლო ომმა იმ ტრაქტატს ძალა დააკარგინა; ყაბარდოელებმა კვლავ დაიფიცეს რუსეთის ქვეშევრდომობაზე. თვითონ ყირიმელებმა ეს აღიარეს 1772 წლის ხელშეკრულებით; პორტას კი კაინარჯის ტრაქტატში არაფერი რჩებოდა სათქმელი იმის გარდა, რომ ორივე ყაბარდოს რუსეთის კარისადმი კუთვნილებას მიანდობდა ყირიმის ხანის ნებას, რომელთანაც ყაბარდოს საქმე მანამდე უკვე გადაწყვეტილი იყო. ბოლოს მათ აცნობებდნენ, რომ ყირიმის ახლანდელი ხანი დევლეთ-გირეი ის მფლობელია, რომელმაც ხანის ხელისუფლება ძალით მიიტაცა, დაარწმუნა რა თავისი თავის არჩევისაკენ მხოლოდ ზოგიერთი ყირიმელი, ხოლო ყველა სხვა თათარმა, განსაკუთრებით ნოღაელებმა, ამის თაობაზე არაფერი იცოდნენ, არც მიწვეულნი ყოფილან და არც მონაწილეობა მიუღიათ. შესაბამისად, მას უფლება არც აქვს, რაიმე მოიმოქმედოს ყაბარდოელების მიმართ, რომელთაც ის მხოლოდ აცდუნებს.

დადგენილება ყაბარდოელთა შეგონებასა და გაფრთხილებას შეიცავდა, რომ მათ დევლეთ-გირეისა და მისი თანამზრახველების მხრიდან მღელვრებისა და ცთუნებისგან თავი დაეცვათ, და იმპერატრიცასადმი ერთგულება უცვლელად შეენარჩუნებიათ; რომ, სხვა შემთხვევაში, მათ შეიძლება სასჯელი და შურისძიება ეწიოთ, რისგანაც თავს ვერ დააღწევენ, როგორც ამას მოწმობს წინა გამოცდილება.

ვვარაუდობთ, რომ ეს სიტყვები ყაბარდოელთა მღელვარე გონებაზე ნაკლებად იმოქმედებდა, ყირიმში რუსული იარაღით მომ-

8. იგულისხმება მოსკოვის დიდი მთავარი და შემდგომში მეფე ივანე IV მრისხანე (1533-1584) (მთარგმნ.).

ხდარ გადამჭრელ ცვლილებებს, რაზეც ახლა ვიტყვით, მათში შიში რომ არ გამოეწვია. 1776 წელს ისინი რუსეთის საიმპერატორო ტახტის ერთგულებაზე კვლავ დააფიცეს, ხოლო გენერალ-პორუჩიკმა მედემმა ბოლოს და ბოლოს შეასრულა მის მიმართ ჯერ კიდევ 1771 წელს გაცემული ერთ-ერთი ბრძანებულება და დიდი ყაბარდოს უძლიერესი მფლობელის, ატაჟუკინის საგვარეულოს წარმომადგენლის, მისოსტ ბამატოვისგან მისი ძე, თემირბულატი აიყვანა ამანათად,[9] რითაც ამ მფლობელის ერთგულება გარკვეული დროით უზრუნველყო და, ამასთან ერთად, კავკასიაში თავისი სამსახური დაამთავრა, ვინაიდან ყიზლარის მხარე ძველებურად ასტრახანის გუბერნატორს მიენდო, რომელ თანამდებობაზეც მაშინ გენერალ-მაიორი იაკობი იმყოფებოდა.[10]

---

9. ეს თემირბულატ მისოსტოვი ამანათად ყოფნისას კადეტთა სახმელეთო კორპუსში აიყვანეს, გარკვეული განათლება მიიღო და სამშობლოში დაბრუნდა. 1803 წელს მას ჰქონდა კაპიტნის ჩინი (გამომც.).

10. ბრონევსკისთან დე მედემს მაშინ მცირე ჯარი ჰყავდა: ერთი ქვეითი ბატალიონი, ჰუსართა 2 ესკადრონი და კაზაკთა 2 პოლკი. 1776 წლის 29 ოქტომბრის ბრძანებულება რომ მიიღო, მედემმა 1777 წლის აპრილში საჯარისო რაზმით მდ. მალკაზე გაგზავნა მაიორი ბუშუევი და ყაბარდოს ზედამხედველი, მაიორი ტაგანოვი, თვითონ კი თერგზე ჯარის გადაადგილებისთვის სხვადასხვა განკარგულება და დახმარება გასცა. ამასობაში ჩვენი მოწინააღმდეგე ყაბარდოელი მფლობელები ყუბანის სერასკერს სთხოვდნენ, რომ იგი თურქეთის ჯარით მათი სოფლებისკენ წაწეულიყო, რაც მან შეასრულა მათი სურვილის შესაბამისად. მედემმა სერასკერს მკაცრი წერილი მისწერა, რის შედეგადაც მან უწინდელ ადგილზე დაიხია. ამ ბრძანების სიმტკიცით დაშინებული ყაბარდოელები დამორჩილდნენ. ჩვენდამი კეთილგანწყობილი მფლობელები ითხოვდნენ, რომ ყაბარდოში ძველი სამართალი და წეს-ჩვეულებები დარჩენილიყო, რაც მედემმა მათ აღუთქვა და ეს უმაღლესის გადასაწყვეტად წარადგინა. ამის შემდეგ დიდ ყაბარდოში მმართველი ატაჟუკის, მისოსტისა და ჯამბულატის საგვარეულოებმა, მათ შორის ჩვენდამი მტრულად განწყობილებმა, ერთხმად აღიარეს რუსეთის ხელისუფლება და ერთგულად დაიფიცეს ქვეშევრდომობაზე, ზუსტად ისეთივე საფუძველზე, როგორითაც ორივე ყაბარდოს დაფიცება შესრულდა 1769 წელს. მცირე ყაბარდომ ეს მით უფრო ხალისით შეასრულა, რადგან დიდი ყაბარდოს მფლობელები მას დიდი ხანია ავიწროებენ. დიდი ყაბარდოს სამივე საგვარეულოსგან საიმედო ამანათებია აყვანილი. რაც შეეხება მცირე ყაბარდოს, ამის გაკეთება უსარგებლოდაა მიჩნეული (გამომც.).

1774 წელს სენატისადმი სახელობითი ბრძანებულებით[11] ყიზლარში იქამდე არსებული სამოქალაქო მმართველობის ნაცვლად სავოევოდო კანცელარიის დაარსება ბრძანეს, იმავე საფუძველზე, როგორითაც ასეთები სხვა ქალაქებში არის დაფუძნებული. სავოევოდო კანცელარიას შიდა სამოქალაქო და იურიდიული მართვა მიენდო, მოსაკრებლებისა და შემოსავლების გამგებლობასთან ერთად; ხოლო საიდუმლო საზღვარგარეთული ექსპედიცია, სამხედრო დადგენილება და აღკვეთა.[12]

თავი 78

ყირიმში რუსული ჯარის შესვლა და ხანად კვლავ შაჰინ-გირეის დადგინება, ყუბანელ ჩერქეზთა დამარცხება და მდ. ყუბანის მარჯვენა სანაპიროზე სიმაგრეთა სისტემის აგება

რუსეთის კარი თათრების თავისუფლების მის მიერ აღმართული შენობის მთლიანობის შესანარჩუნებლად, რაც ომის შედეგად მის ერთ-ერთ საუკეთესო შენაძენს წარმოადგენდა, იძულებული იყო, კეთილგანწყობილი თათრები თავის მფარველობაში აეყვანა, მათთვის საჰიბ-გირეის ადგილას თავიანთი სხვა კანონიერი ხანის არჩევის თავისუფლება მიენიჭებინა და მისი მმართველობა დაემყარებინა.

მაშინ გენერალ-პორუჩიკის, თავად პროზოროვსკის სამეთაურო ჯარის კორპუსი პერეკოპის[13] ახლოს, გამოსაზამთრებელ ბინებში

11. Именной указ – ეწოდებოდა, ზოგადად, იმპერატორის მიერ ხელმოწერილ ბრძანებულებას (განსხვავებით მისივე ზეპირი ბრძანებისგან) რწმუნებულ პირებისადმი ან გარკვეულ ადგილას მცხოვრები მოსახლეობისადმი. სახელობითი ბრძანებულებით სენატს შეიძლებოდა დავალებოდა რომელიმე კანომდებლობის ამოქმედება ან გადმოეცა ახალი კანონმდებლობის შემოტანის დასაბუთება (მთარგმნ.).

12. ბოლო წინადადება ბოლო ნაწილის შინაარსი ორიგინალში აზრობრივად გაუმართავი და გაუგებარია (მთარგმნ.).

13. პერეკოპის ციხე იდგა ე. წ. პერეკოპის ყელზე, ყირიმის ნახევარკუნძულის მატერიკთან დამაკავშირებელი ამავე სახელწოდების ყელის ყველაზე ვიწრო ადგილას და იცავდა ნახევარკუნძულს ჩრდილოეთიდან (მატერიკიდან). მოგვიანებით ამ ადგილას აღმოცენებული ამავე სახელწოდების ქალაქი განადგურდა რუსეთის სამოქალაქო ომის დროს (1920 წელს) და ამჟამად აქ მდებარეობს სოფელი პერეკოპი (მთარგმნ.).

იდგა. თავადი პროზოროვსკი შეუძლოდ იყო და მას ოპერაცია გაუკეთეს. გენერალ-პორუჩიკმა სუვოროვმა[14] თავად პროზოროვსკის ხელმძღვანელობით სამსახურის განკარგულება მიიღო და მასთან 1776 წლის დეკემბერში ჩავიდა. ჯარი მაშინვე ამოძრავდა და მნიშვნელოვანი ძალები შევიდა ყირიმში ყველაზე სუსხიან დროს. თავადი პროზოროვსკი მათთან ერთად მიდიოდა კარეტით, სუვოროვს კი უშუალო აღსრულება მიანდო.

გარკვეული ქმედებები იყო მეამბოხეებთან. თათრებმა ამასობაში საჰიბ-გირეის ნაცვლად ხანად მისი უმცროსი ღვიძლი ძმა, კალგა შაჰინ-გირეი[15] გამოაცხადეს. ის მაშინ ნოღაელებთან, ეის სიმაგრეში[16] იმყოფებოდა. 1777 წლის თებერვალში ის ენიკალეს სრუტის[17] გავლით ყირიმში ჩავიდა, სადაც მას სუვოროვი შეხვდა, და თავისი თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

სუვოროვი 1777 წ. მარტში დევლეთ-გირეის წინააღმდეგ ჯარით გაემართა და სისხლისღვრის გარეშე, მხოლოდ მარშირებით, გაფანტა მისი ძალები ყარასუ-ბაზარსა და აკ-მეჩეთს[18] შორის, სადაც

---

14. იმ დროს რუსეთის არმიის გენერალ-პორუჩიკი ალექსანდრე სუვოროვი (1729-1800), შემდგომში სახელგანთქმული სარდალი და გენერალისიმუსი (მთარგმნ.).

15. სტანისლავ ბოგუშ-სესტრენცევიჩის ფრანგულ თხზულებაში – „О Таврии", соч. на франц. яз. Станиславом Сестренцевичем Богушем, Спб. 1806 г., ч. II, გვ. 374 და შემდეგ საჰიბ-გირეი და შაჰინ-გირ,ეი შერწყმულია ერთ პირად და წოდებულია საჰინ-გირეიდ (გამომც.).

16. ეის ციხე მდებარეობდა აზოვის ზღვის ტაგანროგის ყურის სამხრეთ სანაპიროზე, ამავე სახელწოდების კონცხზე. აქვეა მდ. ეის შესართავიც. 1777-1778 წლებში რუსებმა აქ გააშენეს მცირე ქალაქი, ყირიმის სახანოს სათადარიგო დედაქალაქად, თავიანთ ხელდასხმულ შაჰინ-გიერისათვის. 1848 წელს ამ ადგილას დაარსდა უკვე საპორტო ქალაქი ეისკი (მთარგმნ.).

17. შავი და აზოვის ზღვების დამაკავშირებელი ვიწრო სრუტე, რომელიც მოქცეულია ქერჩისა (ყირიმის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი განშტოების) და ტამანის ნახევარკუნძულებს შორის. ამჟამად ცნობილია ქერჩის სრუტის სახელით (მთარგმნ.).

18. აკ-მეჩეთი (ქართულად „თეთრი მეჩეთი) თანამედროვე სიმფეროპოლია (ყირიმის ანექსიის შემდეგ, 1784 წელს შეეცვალა სახელი). მისგან 45 კმ-ით დაშორებული ყარასუ-ბაზარი კი, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ამჟამად ქალაქი ბელოგორსკია (მთარგმნ.).

თავისი კორპუსით დადგა კიდეც. დევლეთ-გირეი შავი ზღვით კონ-სტანტინოპოლში წავიდა, ხოლო შაჰინ-გირეი ახალ პატივში დამ-ტკიცდა.[19]

ყუბანელები ჯერ კიდევ ჯიუტობდნენ და ახალი ხანისადმი და-მორჩილება არ სურდათ, ნოღაელთა ნაწილიც ყუბანის იქით გადა-ვიდა. სუვოროვი იქითა მხარეს გაეშურა და ახალი ხანის, შაჰინ-გი-რეის წინააღმდეგ ყუბანელების ამბოხი მათი მძიმე დამარცხებებით ჩააქრო მის მეთაურობას მინდობილი ყუბანის მსუბუქი კორპუსის მეშვეობით, რომელშიც მაშინ ქვეითთა 5 პოლკი, დრაგუნთა 10 და ჰუსართა 20 ესკადრონი, დონის კაზაკთა 4 პოლკი და საველე არ-ტილერიის 12 ზარბაზანი შედიოდა.[20]

სუვოროვმა ყუბანელების სრულად დამორჩილებისთვის და მათზე ხანის ძალაუფლების განმტკიცებისთვის, ახლანდელი კავ-კასიის ციხე-სიმაგრით დაწყებული და ყუბანის შესართავებით დამ-თავრებული, ყუბანის მთელი მარჯვენა სანაპირო დაიკავა ოთხი სიმაგრით,[20] რედუტითა და ერთი ფელდშანცით,[21] რომლებიც უყ-

19. შაჰინ-გირეი, თათართა წესისამებრ, ნასწავლი კაცი იყო. როდესაც მისი ძმა, საჰიბ-გირეი, დამოუკიდებელ ხანად გამოცხადდა, შაჰინ-გირეი პეტერბურგს გაიგზავნა და იქ 1771 და 1772 წლებში იმყოფებოდა. მაშინ ის 25 წლისა იყო. იმპერატრიცა ეკატერინე შაჰინ-გირეიზე ვოლტერს სწერდა, რომ ის საკმაოდ ჭკვიანია და აღსავსეა სურვილით, ყველაფერში მიიღოს განათლება; თვინიერი ხასიათისაა; არაბულ ენაზე თხზავს ლექსებს, არცერთ სანახაობას არ სტოვებს და მათით ტკბება; ისეც ხდება, – წერდა იმპერატრიცა, – ჩემს სავანეშიც (სმოლნის მონასტერში) (დედათა მონასტერი სანქტ. პეტერბურგში, სადაც 1764 წელს ეკატერინე II-მ დაარსა კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი – მთარგმნ.) მოდის ხოლმე, როცა აქ შემოსვლა ნებადართულია, კვირაობით, ნასადილევს, 2 საათით, და მოცეკვავე ქალიშვილებს უცქერს. მაშინ ისწავლა შაჰინ-გირეიმ ცოტა რუსულიც. 1782 წლის ადრეს-კალენდარში ის პრეობრაჟენსკის პოლკის გვარდიის კაპიტანთა შორის მითითებულია შაჰინ-გირეი (გამომც.).

20. 1779 წელს ამ საჯარისო კორპუსში რეგულარული და არარეგულარული 11685 ჯარისკაცი იყო (გამომც.).

პ. გ. ბუტკოვის № 3 ხელნაწერში, გვ. 791-794, შემოინახა ავტორის ხელით ნაწერი ფურცელი, სათაურით: „ვინ იყვნენ ხაზზე მეთაურებად და როდის რა რაოდენობა იყო ჯარისა“. ამ ფურცელზე ასახული ცნობები მიეკუთვნება 1779-1802 წლებს, მათ შორის მოიპოვება ზემოთ მოტანილი მითითებაც 1779 წელს ყუბანის კორპუსის რიცხობრივ შემადგენლობის თაობაზე (გამომც.).

21. ფელდშანცი (გერმ. – საველე გამაგრება) – აღნიშნულ ხანაში გამოყენებული მინურის ტიპის დროებითი საველე გამაგრება, სანგრები (მთარგმნ.).

ინვო და უთოვლო 1777-1778 წლების ზამთრის 6 თვის განმავლობაში 3 ათასი მუშაკის ხელით აიგო. ყოველ 70 ვერსში გამაგრება მოეწყო, მათ შორის კი – ორ-ორი შანცი.[22] ეს სიმაგრეები იყო: 1-ლი, ალექსანდროვსკაია – მდინარე ლაბას[23] ყუბანში ჩადინებასთან, მე-2, მარინსკაია, მდინარე კონურის[24] შესართავთან, მე-3 – კოპილი[25] და მე-4 – ნოვოტროიცკაია.[26]

ყუბანის მსუბუქი კორპუსის ჯარს ეკავა კოპილი (სადაც სურსათის მარაგი ინახებოდა და ჯარის გადაადგილებისას ვაგენბურგს[27] სტოვებდნენ), თემრიუკი,[28] აჩუევი[29] და კერპელი.[30]

ჩერქეზები ამ სიმაგრეების მოწყობას თუმცა კი ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ უმნიშვნელოდ. რუსული ჯარის მხრივ კი ხშირად ხდებოდა ყუბანის მიღმა ლაშქრობა, რათა ამ ახალ ხაზს სათანადო პატივისცემა მოეპოვებინა.

---

22. სანგრები (გერმ. – გამაგრება), მცირე რედუტები საველე სიმაგრის გარშემო (მთარგმნ.)

23. ლაბა – ყუბანის მარცხ. შენაკადი (დიდი და პატარა ლაბა, რომლებიც მერე ერთდება (მთარგმნ.).

24. კრასნოდარის მხარის მცირე მდინარის, პონურას ძველი სახელწოდება (მთარგმნ.).

25. ოსმალთა დაარსებული ხის სიმაგრე მდ. პროტოკის შესართავთან, მოგვიანებით აქ რუსებმა დააარსეს სტანიცა სლავიანსკაია (მთარმგნ.).

26. სუვოროვს, თითქოს, არ ჰქონია ბრძანება ამ გამაგრებების მოწყობისა იმ მიწაზე, რომელიც თურქებთან და ყირიმელებთან დადებული არცერთი ხელშეკრულებით რუსეთს ჯერ კიდევ არ ეკუთვნოდა (გამომც.).

27. სამხედრო აღალის ფორნებით (ოთხთვალებით) შემოზღუდული, დროებითი სახელდახელოდ გამაგრებული საველე სადგომი (მთარგმნ.).

28. XVI ს-ში ყაბარდოელი მთავრის, თემრიუკის მიერ რუსების მხარდაჭერით აგებული ციხე ტამანის ნახევარკუნძულზე, მდ. ყუბანის შესართავის სიახლოვეს, აზოვის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. ციხე მალევე მოექცა ყირიმის სახანოს ხელში და ეწოდა ადისი. 1778 წელს რუსებმა სიმაგრე განაახლეს. XIX ს-ის შუახანებში აქ არსებობდა კაზაკთა სტანიცა. 1860 წელს კი თემრიუკი საპორტო ქალაქად გამოცხადდა (მთარგმნ.).

29. XVII ს-ის მიწურულს ყუბანის დელტაში ოსმალთა მიერ აგებული ციხედასახლება. 1777 წლიდან რუსების ხელში გადავიდა. ამჟამად მცირე სოფელი აჩუევო (მთარგმნ.).

30. როგორც ჩანს, ესაა პუნქტი მდინარე კირპილის ნაპირას, თანამედროვე სოფელი კირპილსკაია, კრასნოდარის მხარეში (მთარგმნ.).

მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ ატუკაელმა ჩერქეზებმა[31] 1778 წლის ზაფხულში, წაასხეს ჰუსართა ერთი ესკადრონის ცხენები, რომლებიც ველზე ყოველგვარი მეთვალყურეობის გარეშე ბალახობდნენ. ესკადრონის უფროსმა ჩერქეზების წინააღმდეგ მხოლოდ კარაბინებით შეიარაღებული ქვეითი ჰუსარები გაგზავნა, მაგრამ მათ ისეთი ძლიერი ცეცხლით შეეგებნენ, რომ მთელი ესკადრონის ხალხიცა და ცხენებიც დაიღუპა.

თავი 79

ყირიმში შაჰინ-გირეის მმართველობის საწინააღმდეგო ამბოხის ჩახშობა რუსული ჯარის მიერ

შაჰინ-გირეის ხანად აყვანისადმი გაავებული თვალით მომზირალი პორტა სამხედრო მზადებას აწარმოებდა და მზად იყო ომის ცეცხლის დასანთებად.

არადა, ხანი შაჰინ-გირეი თვითონ უწყობდა ამას ხელს; მას მოუთმენლად სურდა, პეტრე დიდისთვის მიებაძა და ყირიმის გარდამქმნელი გამხდარიყო. ყირიმში რუსეთის ჯარის მეთაურმა, თავადმა პროზოროვსკიმ მას არაერთხელ განუმარტა, რომ მისი მდგომარეობა ამის წამოწყებას საშუალებას არ აძლევდა. ხანი თათრებისგან რეკრუტების მოგროვებასა და ჯარის შედგენას აპირებდა. თავადი პროზოროვსკი მას ამგვარი ღონისძიებისგან ყველა საშუალებით აკავებდა. მაგრამ როცა თავადი პროზოროვსკი 1778 წლის ზაფხულში გაემგზავრა ქერჩსა და ენიკალეში, სადაც მაშინ კომენდანტად იყო გენერალ-მაიორი ბორზოვი,[32] მისი სიმკაცრის გამო ალბანელებთან მომხდარი უთანხმოებების მოსაგვარებლად, რომ-

31. იგივე ხატუკაელები, დასავლელ ჩერქეზთა (ადიღეელთა) მეომარი სუბეთნიკური ტომი, განსახლებული მდ. ყუბანის ველზე და რომლებიც თავგამოდებით იბრძოდნენ როგორც ყირიმელთა, ასევე რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ (მთარგმნ.).

32. ნიკოლაი ბორზოვი (1728-1782), იმ დროს იყო ენიკალეს კომენდანტი, 1781 წელს დაინიშნა ქერჩის კომენდანტად (მთარგმნ.).

ლებიც გრაფ ორლოვ-ჩესმენსკის[33] ხომალდებზე მსახურობდნენ და აქ თურქებთან დაზავების შემდეგ, თურქთაგან ფარულად, დარდანელის გავლით გადმოიყვანეს და რომელთაც შემდეგ ბერძნული ბატალიონები შეადგინეს. თავად პროზოროვსკის ამ არყოფნისას ხანმა გამოსცა ფირმანი თათრებისგან რეკრუტების შეგროვების შესახებ.

ის იყო თავადი პროზოროვსკი დაბრუნდა ბახჩისარაიში,[34] სადაც იყო დაბინავებული, რომ შაჰინ-გირეის წინააღმდეგ ამბოხმა იფეთქა და ომი გაჩაღდა.

კაპიტან-ფაშამ[35] მეამბოხეთა მისაშველებლად ყირიმის ნახევარკუნძულის სანაპიროებს ფლოტი მოაყენა და ქერჩიდან კოზლოვამდე[36] გაშალა. მასში შედიოდა 160 გემი, მათ შორის 15 სახაზო ხომალდი. ჩვენი მცირე ფლოტი ენიკალეში იდგა. 1778 წლის შემოდგომაზე 100-ზე მეტი გემიდან გადმოსხმული თურქები სუჯუკში[37] გამოჩნდნენ. ისინი მთებში პურის შესყიდვას ცდილობდნენ,[38] ომისთვის ემზადებოდნენ და ამაზე მთის ყველა ხალხს, ყაბარდოსა და ყუმუხებს იყოლიებდნენ. 1778 წლის სექტემბერში ასევე ხმები დადიოდა, რომ ანატოლიაში ჰაჯი-ალი ფაშა 80 ათასამდე ჯარს აგროვებდა რუსეთთან ომისთვის.

---

33. ალექსეი ორლოვი (1737-1807), 1769 წელს ჩესმენის საზღვაო ბრძოლაში (ეგეოსის ზღვაში) მისი მეთაურობით ოსმალეთის ფლოტის დამარცხების გამო იგი იწოდა გრაფ ორლოვ-ჩესმენსკიდ (მთარგმნ.)..

34. ყირიმის სახანოს დედაქალაქი. აქ იყო ხანის რეზიდენციაც. აქ დაბინავებულ გენ. პროზოროვსკის ევალებოდა ხანზე თვალყურის დევნება (მთარგმნ.).

35. იგულისხმება კაპუდან-ფაშა – ოსმალეთის ფლოტის მეთაურის ტიტული. ზემოაღნიშნულ დროს კაპუდან-ფაშის თანამდებობა ეკავა ღაზი ჰასან-ფაშას (1714-1790), ბავშობაში ტყვედ გაყიდულ ეროვნებით ქართველს. ერთხანს მას ალჟირის პროვინციის მმართველობა ებარა, რამაც განაპირობა მისი მეტსახელი – ჯეზაირლი (ალჟირელი) (მთარმნ.).

36. იმ დროს შავიზღვისპირა სიმაგრე გიოზლევი (კეზლევი) ყირიმის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში, რომელსაც რუსები კოზლოვს უწოდებდნენ. 1784 წლიდან დაერქვა ევპატორია (მთარგმნ.).

37. სუჯუკ-კალე – თურქული სანავსადგურო დასახლება მცირე ციხით შავი ზღვის ჩრდილო-არმოსავლეთ სანაპიროზე, დღევანდელი ნოვოროსიისკის მიმდებარედ (მთარგმნ.).

38. მინაწერი: „და მთიელებს რუსეთთან ომისკენ აქეზებდნენ“ (გამომც.).

ამ პირობებში, ხან შაჰინ-გირეის წინააღმდეგ ამბოხებულებმა თავად პროზოროვსკისაგან ძლიერი დამარცხებები იწვნიეს, განსაკუთრებით სალგირთან,[39] – იმდენად სასტიკად, რომ ყველა წოდების ადამიანთაგან დაიხოცა არანაკლებ 20 ათასისა. თურქები გამაგრებული ადგილებიდან გააძევეს, მეამბოხეები დაიმორჩილეს, განაიარაღეს და ისინი იმდენად მორჯულდნენ, რომ პროზოროვსკის უთხრეს, რომ უკვე მათი რეკრუტებად წაყვანაც შეეძლო.

მაშინ ყირიმიდან 20 ათასამდე სომეხი გაიყვანეს და ქალაქ ნახიჩევანში[40] დაასახლეს; ტყვეობაში მყოფი რამდენიმე ათასი ქართველი გათავისუფლეს. ამ საქმეებს საფუძველი თავადმა პროზოროვსკიმ ჩაუყარა, სუვოროვმა კი, რომელმაც მისგან ამ დროს მიიღო მეთაურობა, ესენი აღასრულა;[41] ამ სომხების გადასახლებით მთებში ცარიელი დარჩა ძალიან ხელსაყრელი სოფლები.

ამგვარადვე, თურქულმა ფლოტმა კონსტანტინეპოლში დაბრუნებისას სუჯუკის გავლით ბენდერის ველზე[42] თან გაიყოლა ნოღაელების ნაწილი, რომლებიც მანამდე ყუბანის ველებიდან ყუბანის მიღმა იყვნენ გარიდებულნი.

საბოლოოოდ, ყირიმის დამოუკიდებლობის თაობაზე განხეთქილება რუსეთსა და პორტას შორის შეწყდა 1779 წელს დადებული განმარტებითი კონვენციით,[43] რომლითაც პორტამ რუსეთის მოთხოვნით შაჰინ-გირეი ყირიმის ოლქის კანონიერ და თვითმმართველ ხანად აღიარა; ყველა გაუგებრობა, რაც თათრების

39. ყველაზე გრძელი მდინარე ყირიმის ნახევარკუნძულზე (მთარგმნ.).

40. იგულისხმება ქალაქი დონის ნახიჩევანი (Нахичевань-на дону), რომელიც დაარსდა 1779 წელს მდ. დონის მარჯვენა ნაპირზე აქ ეკატრინე II-ის ბრძანებით ყირიმელი სომხების გადმოსახლების შედეგად. 1929 წელს მოექცა ქ. დონის როსტოვის ფარგლებში (მთარგმნ.).

41. ამბობენ, რომ ეს გადასახლება ხაზინას თითო სულზე ერთი ჩერვონეცი დაუჯდა (გამომც.).

42. ველი დნესტრისპირეთში, დღევანდელ მოლდოვაში (მთარგმნ.).

43. იგულისხმება 1779 წლის მარტში რუსეთსა და ოსმალეთს შორის ხელმოწერილი აინალი-კავაკის (კონსტანტინოპოლის) კონვენცია, რომლითაც რუსეთის სასარგებლოდ დაზუსტდა ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების ზოგიერთი პუნქტი (ამიტომაც უწოდებს მას ავტორი „განმარტებითს“) და რითაც რუსეთმა გაამყარა თავისი გავლენა „დამოუკიდებელ“ ყირიმის სახანოზე და იქიდან საბოლოოდ ამოუკვეთა ფეხი ოსმალებს. ამით კი ნიადაგი მოიმზადა ყირიმის სრული დაუფლებისათვის (მთარგმნ.).

პოლიტიკური თავისუფლების წარმოქმნას ეხებოდა, ცხადად განიმარტა. ომის ქარიშხალი ამჯერად ჩადგა და ისე ჩანდა, რომ ომით გადასაწყვეტი განხეთქილებების ყველა საბაბი სამუდამოდ ქრებოდა.

ამის შედეგად, იმავე წლის ივლისის მიწურულს, რუსეთის ჯარი ყირიმიდან და ყუბანიდან რუსეთის საზღვრებში დაბრუნდა;[44] სიმაგრეები ყუბანზე მიატოვეს და მხოლოდ რამდენიმე ათასი კაცი გაიგზავნა ქერჩისა და ენიკალეს[45] (ენგი-კალე)[46] დასაცავად. გენერალ-პორუჩიკი სუვოროვი ჯერ კიდევ 1778 წელს გაიგზავნა ასტრახანში სპარსეთის მიმართ გარკვეული მიზნებით, რის თაობაზეც თავის ადგილზე ვიტყვით; ყუბანის კორპუსის მეთაურობა კი 1778 წელს დაეკისრა გენერალ-მაიორ რეიზერს.[47]

ამ გარდატეხის მოწყობა რუსეთის იმპერიას იაფი არ დაუჯდა; მაგრამ იმას მაინც იმედოვნებდნენ, რომ ეს მომავალში უსაფრთხო მეზობლობით დაჯილდოვდებოდა.

Davit Merkviladze
Doctor of History, independent researcher
Erekle khutsishvili

Petr Butkov on the Strengthening of Russian Influence in Crimea in 1775-1778

Summary

The article presents a Georgian translation of the part of Pyotr Butkov's work (Materials for the New History of the Caucasus in 1722-1803, vol. II,

44. მინაწერი: „(მაგრამ ყუბანის სიმაგრეებიდან 1779 წ. გაზაფხულზე გამოიყვანეს)" (გამომც.).
45. პ. გ. ბუტკოვს აქ, ისე როგორც სხვა შემთხვევებში, „ენიკოლი" უწერია (გამომც.).
46. ტექსტშია Енги-Кале. (ი)ენი-კალე (თურქ. Yenikale ახალ ციხე-სიმაგრეს ნიშნავს. ამდენად აქ „გ" ზედმეტი ჩანს (მთარგმნ.).
47. ბიკენტი ფონ რაიზერი (1729-1781), გენერალ-მაიორი 1771 წლდან (მთარგმნ.).

S.Petersburg, 1869) that discusses the attempts of the Russian government to strengthen its influence in the Crimea and its environs. P. Butkov, as a former officer of the Russian army and a supporter of Russian imperial expansion, tries to find some kind of justification for the decision of the Russian Imperial Court to strengthen its influence in the Crimean Khanate and the Kuban region at any cost. After the end of the Russo-Turkish War, according to the Treaty of Küçük Kaynarca, signed in 1774, the Crimean Khanate was recognized by both sides as an independent state, which meant its liberation from Ottoman influence. However, the Russian government immediately began to strengthen its influence in Crimea and put forward its preferred candidate for the Khan's throne.

Soon a rebellion broke out in the khanate, and the Russian-oriented khan was overthrown. Naturally, the sultan's government also supported and encouraged the rebellion. Russia, for its part, spared no effort to „help" the Crimeans, bringing them an incomprehensible „Russian freedom" through the power of the Russian army.

Russia strengthened its rights over Crimea with the Treaty of Aynali Kavak in 1779, when the Ottomans had to recognize the new situation in favor of Russia in the Crimean issue.

The Georgian translation of the text was made by Davit Merkviladze and Erekle Khutsishvili. It represents chapters 77-79 of the aforementioned work by P. Butov. The titles of the chapters of the work were compiled by the translators in accordance with their content. The relevant comments are attached to the text.